ნუ განასხვავებ შვილებს,
გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია!

იზეიმე გოგონას დაბადება!

გამოცემა მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა
და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, გაეროს ერთობლივი პროგრამის
„გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც შვედეთის მთავრობის
ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება.

იცოდით, რომ თანამედროვე საქართველოში ბევრ მშობელს გოგოს ყოლა არ სურს?

ოდესმე თუ გიფიქრიათ თქვენი შვილის სქესის გაგებაზე? გინახავთ, როგორ ცდილობენ თქვენი ნათესავები, მეგობრები, სრულიად უცნობი ადამიანებიც კი, მომავალი დედის მუცლის მოყვანილობით გაარკვიონ, ორსული ქალი გოგოს ელოდება თუ ბიჭს? რა თქმა უნდა, ჩვენ, ყველას, ძალიან გვაინტერესებს ბავშვის სქესი. ბოლოს და ბოლოს, ტანსაცმელი შესაძენია, სახელი შესარჩევია და ეს ცნობისმოყვარეობაც ბუნებრივია, თუმცა არსებობს ერთი „მაგრამ“...

მშობლების ნაწილს სქესით დაინტერესების სხვა მიზეზი აქვს. მათ უნდა გადაწყვიტონ, მიიყვანონ ორსულობა ბოლომდე, თუ შეწყვიტონ, რადგან ის ვერ მიიღეს, რასაც ელოდნენ. უცნაურად ჟღერს? ალბათ ძალიან უცნაურადაც არა. ეს ყველაფერი ხომ საქართველოსთვის უცხო არ არის. ზოგიერთი მშობელი სქესის დასადგენად არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს სწორედ ამისათვის იყენებს, რადგან საქართველოში, ისევე, როგორც ბევრგან, არსებობენ მშობლები, რომლებსაც გოგონას ყოლას აშკარად ვაჟის ყოლა ურჩევნიათ. საქართველო და მისი მეზობელი სახელმწიფოები ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების მაჩვენებლით მსოფლიოს მრავალ ქვეყანას უსწრებენ. ეს ჩვენი რეალობაა.

კონკრეტულად, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ საქართველოში 1990 - 2015 წლებში, ვაჟის ყოლის სურვილის გამო, 31 446 გოგონა არ დაიბადა. მეზობელი ქვეყნების - აზერბაიჯანისა და სომხეთის მსგავსად, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოც გამოირჩეოდა მამრობითი სქესის ახალშობილთა სიჭარბით, რაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი შეფარდების გადახრით გამოიხატა, თუმცა ბოლო წლებში, საქართველოში, ოჯახური დინამიკა ნაკლებად პა-ტრიარქალური ხდება - მშობლები ხედავენ, რომ მათი ქალიშვილები უფრო სანდოები და ემოციურად გახსნილები არიან, ვიდრე ვაჟები. ამ თვალსაზრისით, მათთვის გოგონები უფრო ძვირფასები ხდებიან. 2016 წელს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა პირველად

მოექცა ნორმის ფარგლებში 1992 წლის მერე, თუმცა სქესთა ბუნებრივი რაოდენობრივი შეფარდება დარღვეული რჩება საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით - კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში.

„ეს მე არ მეხება!“ – ალბათ იტყვით თქვენ. შეიძლება, ასეცაა, მაგრამ იქნებ კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ. თუ გოგონა უკვე გყავთ, რა გირჩევნიათ, მეორე შვილი ბიჭი იყოს თუ ისევ გოგო? თუ ბიჭი უკვე გყავთ, მეორეს გაჩენის შემთხვევაში, რომელი სქესის შვილის ყოლას ამჯობინებდით? ან თუკი ორი გოგონას მშობელი ხართ და მესამე შვილის გაჩენას გეგმავთ, რომელი სქესია თქვენთვის სასურველი? თქვენ ალბათ ფიქრობთ, ვის არ მოუნდებოდა, ორივე ჰყოლოდა, გოგოც და ბიჭიც? რა თქმა უნდა, მართალი ხართ. მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუკი ორივე ვერ გეყოლებათ? ჩვენ, ყველას, ჩვენი სურვილები გვაქვს, მაგრამ ბუნება, რომელიც თავისი კანონებით მოქმედებს, მათ მხედველობაში არ იღებს და ბიჭებსაც და გოგონებსაც დაბადების თითქმის თანაბარ შანსს აძლევს. იცოდით თუ არა, რომ საქართველოში მშობლები ისე ცდილობენ ორივე სქესის შვილის ყოლას, რომ ოჯახში თუ პირველი ორი შვილი გოგოა, მე-3 შვილის დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მკვეთრად იზრდება ბიჭების სასარგებლოდ. თანაფარდობის ნორმალური მაჩვენებელია 105 ბიჭი და 100 გოგო, თუმცა, როდესაც პირველი ორი შვილი გოგოა, მაჩვენებელიც იცვლება და 174 ბიჭს და 100 გოგოს აღწევს.

რამდენად ცუდია, რომ მშობლები თავიანთი პრიორიტეტების მიხედვით მოქმედებენ? ალბათ არც ისე, მაგრამ ეს ყველაფერი, გარკვეულწილად, იმ საზოგადოებაზეც მეტყველებს, სადაც ვაჟებისათვის უპირატესობის მიმნიჭებელი მშობლები ცხოვრობენ და სადაც გოგონები სათანადოდ არ არიან დაფასებული. ასე არ არის?

რატომ ანიჭებენ ვაჟებს უპირატესობას საქართველოში?

ალბათ ბევრი მიზეზი გახსენდებათ, რის გამოც საქართველოში ოჯახებისთვის ვაჟის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია. მოდით, რამდენიმე აქაც ჩამოვთვალოთ:

- ✔ ვაჟი ოჯახში რჩება, გოგონა კი მეუღლის ოჯახის წევრი ხდება. შესაბამისად, მოხუც მშობლებს ვაჟმა უნდა მოუაროს, მათი ფინანსური უზრუნველყოფაც ვაჟის პასუხისმგებლობაა. მოდით, დავფიქრდეთ, მართლაც ასე ხდება თუ არა. სინამდვილეში, ხანდაზმულთა მომვლელების უმეტესობას საქართველოში ქალები წარმოადგენენ. და ქალიშვილებს ისევე შეუძლიათ, ფინანსურად უზრუნველყონ ასაკოვანი მშობლები, როგორც ვაჟებს. გადამწყვეტი ფაქტორი ისაა, თუ ვინ ცხოვრობს მშობლებთან უფრო ახლოს და ვის შეუძლია, უფრო ადვილად მისწვდეს მათ.

- ✔ ვაჟი გვარის გამგრძელებელი და სიამაყეა, ქალიშვილი კი მეუღლის ოჯახს ეკუთვნის. შესაბამისად, როცა საქმე ოჯახის ღირსებაზე მიდგება, ვაჟის ყოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ალბათ წარსულში მართლაც ასე ხდებოდა, დღეს კი... დღეს, როცა ქალების უმეტესობა განათლებას იღებს, კონკურენტუნარიანია შრომით ბაზარზე, კარიერას იქმნის და სახელს - მამისეული გვარით - ქორწინებამდე ითქვამს, ქალსაც იგივე წონა აქვთ საზოგადოებაში, რაც კაცს. ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ქალი აღწევს წარმატებას და მშობლებისთვის სიხარულისა და სიამაყის მომტანი ხდება.

- ✔ ვაჟი მთავარი მემკვიდრეა, ასეთია ბუნების კანონი. ის არის ოჯახის კუთვნილი მიწის პატრონი, საქმის გამგრძელებელი და ქონების განმკარგავი. მაგრამ... იცოდით თუ არა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, მშობლების მემკვიდრეობა ვაჟებსაც და

ქალიშვილებსაც ერთნაირად ეკუთვნით (დიახ, ეს სამოქალაქო კოდექსში წერია და თანაც, 2007 წლიდან), მათ ერთნაირად შეუძლიათ, პრეტენზია განაცხადონ ოჯახის ქონებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რას ჩაწერთ თქვენ ანდერძში, ან როგორია თქვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილება. ფაქტია, რომ შეიძლება, ტრადიცია ერთს გვკარნახობდეს, კანონი კი მეორეს. იფიქრეთ ამაზე, განა უკეთესი არ იქნება, თუ ყველაფერს, რაც გაგაჩნიათ, შვილებს თანაბრად გაუნაწილებთ? უფრო მეტიც, შეგიძლიათ, მიწა და ბიზნესი, განურჩევლად სქესისა, იმ შვილს გადაულოცოთ, რომელიც მას უკეთესად მიხედავს.

- ✔ თქვენგან ბიჭის ყოლას ელიან! ბებია-ბაბუას, თქვენს მშობლებსა და მეუღლის მშობლებს, ყველას ბიჭი უნდა. მეზობლები და შორეული ნათესავებიც კი ფიქრობენ, რომ თქვენთვის, როგორც ქალისთვის და კაცისთვის, ბიჭის ყოლა ღირსების საკითხია. დაფიქრდით ამაზე. განა ყველა ცხოვრებისეული გადაწყვეტილება ისე გაქვთ მიღებული, როგორც თქვენგან ელოდნენ? ალბათ, არა. შვილთან დაკავშირებული გადაწყვეტილება კი ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენ ადამიანს იცნობთ, ვინც საზოგადოების წნეხის ქვეშ არ მოექცა? ალბათ, ბევრს. და არცერთი მათგანის ცხოვრება თქვენსას არ ჩამოუვარდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, შეიძლება, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ გამოწვევებად მოგვეჩვენოს, სინამდვილეში კი მათ საერთო საფუძველი გააჩნიათ. ყველა მათგანი სტერეოტიპებიდანაა აღმოცენებული. რას ნიშნავს სტერეოტიპი? სტერეოტიპი წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებაა, რომელიც გვკარნახობს, თუ რა და როგორ უნდა მოხდეს, ისე, რომ არც მოვლენების სასურველ/ყველასათვის სასარგებლო განვითარებას ითვალისწინებს და არც არსებულ რეალობას. სწორედ სტერეოტიპი აყალიბებს ადამიანების – ბიჭების, გოგოების, კაცების, ქალების სპეციფიკურ ტიპებსა და რო-

ლებს საზოგადოებაში. გავიხსენოთ, რამდენად ხშირად გვითქვამს, რომ ფეხბურთი გოგოების საქმე არ არის. ეს სტერეოტიპია, რადგან სინამდვილეში, არც კი ვიცით, რამდენად კარგები არიან გოგოები ფეხბურთში – ჩვენ ხომ მათ სპორტის ამ სახეობაში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას არ ვაძლევთ. ასევე ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ კაცებს საჭმლის მომზადება არ გამოსდით. ყურადღებით გადავხედოთ ცნობილ შეფმზარეულებს ქვეყნის საუკეთესო რესტორნებში. ბევრი მათგანი კაცია. გენდერულ სტერეოტიპებს საზოგადოებისთვის სარგებელი არ მოაქვს, უფრო პირიქით – დისკრიმინაციის საფუძველს, ყველაზე ხშირად, სწორედ სტერეოტიპი ქმნის.

რატომ არის საყურადღებო ვაჟიშვილისთვის უპირატესობის მინიჭება საქართველოში?

მოდით, დავფიქრდეთ, რას აკეთებენ ქალები, როგორც საზოგადოების წევრები. ასევე დავფიქრდეთ, როგორია კაცების, როგორც საზოგადოების წევრების, როლი. მათი საქმიანობები ერთმანეთის საპირწონე და ურთიერთმონაცვლეა, არც მხოლოდ ქალებს და არც მხოლოდ კაცებს არ შეუძლიათ, სრულფასოვანი საზოგადოება შექმნან. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საზოგადოებრივ ბალანსს უქმნის საფრთხეს. ის ასევე საგანგაშო ნიშანს გვაძლევს იმის შესახებ, რომ სოციუმი ნაკლებად აფასებს გოგონებსა და ქალებს, ასევე მათ საქმიანობასა და დოვლათს, რომელსაც ისინი ქმნიან.

გრძელვადიან პერსპექტივაში, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს.

- ✔ ის გავლენას ახდენს საზოგადოების ფორმირებაზე: გოგონებთან შედარებით მეტი ბიჭის ყოლა დღეს, ნიშნავს ქალებთან შედარებით მეტი კაცის ყოლას ხვალ, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს დაქორწინების საკითხს (დასაქორწინებელი ქალების არასაკმარისი რაოდენობის გამო), შეამცირებს შობადობას და შესაბამისად - მოსახლეობის გამრავლების პერსპექტივას, რაც, საბოლოოდ, საზოგადოების ბალანსს დაარღვევს.

- ✔ ის გავლენას ახდენს ქალებისა და გოგონების ცხოვრებაზე დღეს: გოგონების არასათანადოდ დაფასება მხოლოდ მათ დაბადებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე კი არ აისახება, არამედ უკვე დაბადებული გოგონებისა და ქალების მთელ ცხოვრებაზეც ტოვებს კვალს, მშობლების მხრიდან მათ განათლებასა და ჯანმრთელობაში ინვესტირების, მათი თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის, მათი მხრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ჩათვლით.

- ✔ ისშეუთავსებელიათანამედროვეს საქართველოს საზოგადოებასთან: ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი რამ შეიცვალა, განვითარება და პროგრესი, რომელსაც ყველანი ვხედავთ, იმის შედეგიცაა, რომ უამრავი ქალი გახდა სოციალურად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო აქტიური, ფინანსურად დამოუკიდებელი და წარმატებული, რამაც საშუალება მისცა მათ, სრულად შეუწყონ ხელი საკუთარი ოჯახების კეთილდღეობას. ასევე, ზემოთხსენებული პროგრესი და წინსვლა, პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს საზოგადოებას ამავე ქალების წინაშე.

წყარო: გილმოტო, ქ.ბ. და ტაფურო,ს.(2017).„დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები საქართველოში"- 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. თბილისი: საქსტატი; UNFPA.

ფოტო: © UNFPA

კონცეფცია/დიზაინი: ForSet

ცუდია თუ არა, რომ შვილის სქესის წინასწარ გაგება გვინდა?

რა თქმა უნდა, არა! მშობლების სურვილი, წინასწარ იცოდნენ შვილის სქესი, სავსებით ბუნებრივია. მაგრამ იცით თუ არა, რომ ბავშვის სქესის შესახებ ყოველთვის დარწმუნებული ვერ იქნებით? ნაყოფის სქესის განსაზღვრის სიზუსტე რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ორსულობის ვადაზე, ულტრასონოგრაფიული აპარატურის ხარისხზე, ექიმის გამოცდილებასა და ნაყოფის მდებარეობაზე.

სინამდვილეში, როცა ნაყოფი 12 კვირისაა, სასქესო ორგანოების ჩამოყალიბება მხოლოდ იწყება, შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში, შეუძლებელია, დანამდვილებით ითქვას, ნაყოფი გოგოა თუ ბიჭი. 16 კვირის თავზე, როცა ორგანოები სრულიად ჩამოყალიბებულია, სქესის განსაზღვრა თითქმის აბსოლუტური სიზუსტით შეიძლება. თუმცა ამ დროსაც დასაშვებია, რომ ნაყოფის მდებარეობის გამო, მშობლებს შვილის სქესის გასაგებად კიდევ მოუხდეთ დაცდა. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ნუ განასხვავებ შვილებს, გოგოც და ბიჭიც შენი მომავალია!

ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები
არ წარმოადგენს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), შვედეთის
მთავრობის და მსოფლიო ბანკის ოფიციალურ პოზიციას.

დამატებითი ინფორმაცია ამ გამოცემის შესახებ შეგიძლიათ
მოიძიოთ გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისში:
საქართველო, თბილისი, 0179, ერისთავის ქ. 9
ტელეფონი: (995 32) 225 11 26 (152)
ფაქსი: (995 32) 225 02 71/72
http://georgia.unfpa.org
facebook.com/unfpageorgia
twitter.com/UNFPAGeorgia